



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1950
06/12/2018

ქალაქი ბათუმი

1950-05-4-201812061549



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ცენტრის - მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №25 და სოფ. სარფში ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმის დაცვის მომსახურების ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მირზა ბახტაძის 2018 წლის 04 დეკემბრის №3469-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის, მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ცენტრის მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №25 და სოფ. სარფში, ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმის დაცვის მომსახურების ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს შესყიდვების განყოფილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს:

ა) ექსკლუზიური უფლებამოსილებით გამარტივებულ შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართვა;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის, მის. ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ცენტრის, მის. ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №25 და სოფ. სარფში, ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმის დაცვის მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვარდმანიძე ჯუმბერ

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

